ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4134282

ნომერი: AR1620463

თარიღი : 22.08.2018

გაცემის თარიღი : 23.08.2018

გაცნობის თარიღი : 24.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N25;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ თავაძე პ/ნ 01020002504
- თბილისი შ.მიქატაძის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 22 აგვისტოს N AR1620463 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.13.03.010.045 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქციისთვის, ფუნქციით რესტორანი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში, სადაც აღნიშნული სამშენებლო სამუშაოები დასაშვებია სპეციალური ზონალური შეთანხმებით, გამომდინარე აქედან, პირველ რიგში შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიზნით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.